



სასამართლო სხდომის ოქმი

“27” აპრილი 2011 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობით:

ქეთევან კუჭავა (სხდომის თავმჯდომარე)
მოსამართლეები:
თამარ ზამბახიძე
მანუჩარ კაპანაძე

სხდომის მდივანი: ლეილა გოგიშვილი

აპელანტი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მოწინააღმდეგე მხარე: სს „საქართველოს საფოსტო ბანკი“, სს „კახეთის პური“,
საქართველოს ეროვნული ბანკი.

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სხდომა დაიწყო: 10:35 საათზე

სხდომა დამთავრდა: 10:45 საათზე

სასამართლო შემადგენლობა შემოდის სხდომის დარბაზში.

სხდომის თავმჯდომარემ სასამართლოს მთავარი სხდომა გახსნილად გამოაცხადა,
მოახსენებს სხდომაზე განსახილველ საქმეს.

სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას:

სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან კუჭავა
მოსამართლეები: თამარ ზამბახიძე
მანუჩარ კაპანაძე

სხდომის მდივანი: ლეილა გოგიშვილი

სხდომის მდივანი მოახსენებს:

სასამართლო სხდომაზე **გამოცხადდნენ:**

აპელანტის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ზვიად კორძაია (მინდობილობა ტ. III ს.ფ. 206-207).

მოწინააღმდეგე მხარის – საქართველოს საფოსტო ბანკის წარმომადგენელი კახაბერ ვარადაშვილი (მინდობილობა ტ. III, ს.ფ. 16).

სასამართლო სხდომაზე **არ გამოცხადდნენ :**

მოწინააღმდეგე მხარეები – სს „კახეთის პური“, საქართველოს ეროვნული ბანკი. რომელთაც სხდომის დღის შესახებ ეცნობათ სსსკ-ის 70-78 მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარე ამოწმებს წარმომადგენელთა უფლებამოსილებას.

საქართველოს სსკ-ის 211-212-ე მუხლების შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარე განმარტავს წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითებათა სავალდებულობას და სასამართლო სხდომაზე წერიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების გამოყენების შესახებ.

წარმომადგენლებს განემარტათ სასამართლოს აცილების წესი და საქ. სსკ 83-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები.

წარმომადგენლებს აცილების შესახებ შუამდგომლობა სასამართლოს შემადგენლობაზე და სხდომის მდივნის მიმართ არ აქვს.

სხდომის თავმჯდომარე ეკითხება პროცესის მონაწილე მხარეებს, ხომ არა აქვს რაიმე არარსებითი ხასიათის განცხადებები ან შუამდგომლობები.

საქართველოს „საფოსტო ბანკის“ წარმომადგენელი კახაბერ ვარადაშვილი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე და მოახსენებს:

– მხარეები რეალურად მორიგდნენ, ერთ-ერთმა ფიზიკურმა პირმა გამოთქვა პრეტენზია და ახლა ამ საკითხის განხილვა მიმდინარეობს, როგორც ვიცი ამ პირთან მოლაპარაკების მიღწევა რეალურია, რის გამოც გთხოვთ საქმის განხილვა და მოგვცეთ დრო მორიგებისთვის.

სხდომის თავმჯდომის შეკითხვაზე ზვიად კორძია პასუხობს – სავარაუდოდ ერთი თვე საკმარისი იქნება მორიგებისვის და გთხოვთ მოგვცეთ აღნიშნული დრო რათა დავასრულოთ მოლაპარაკებები.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე, 218-ე, 284-ე მუხლის შესამე ნაწილით და ადგილზე თათბირით

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მორიგების ხელშეწყობის მიზნით საქმის განხილვა გადაიდოს 25.05.2011 წელს 11:00 საათზე, რის თაობაზეც გამოუცხადებელ მხარეებს ეცნობოთ კანონით დადგენილი წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარისათვის, სს „კახეთის პური“-სათვის უწყებების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, პალატა თვლის, რომ მას საჯარო შეტყობინებით უნდა ეცნობოს სასამართლო სხდომის დღის შესახებ.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ საჯარო შეტყობინება უნდა გავრცელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე განჩინების გამოქვეყნების გზით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 78-ე, 284-ე და 414-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ეცნობოს სს „კახეთის პური“ დირექტორს იოსებ ბარნაბიშვილს, რომ სასამართლო სხდომა სამოქალაქო საქმეზე №2ბ/77-09, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის გამო, სს „საქართველოს საფოსტო ბანკი“, სს „კახეთის პური“ და შპს „თაქლა“ მიმართ, დანიშნულია **25.05.2011წ. 11:00 საათზე**. სხდომა გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა, დარბაზი №6).
2. მხარეს განემარტოს, რომ სასამართლო უწყება მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების განხორციელებიდან მეშვიდე დღეს.
3. განჩინების გამოქვეყნება განხორციელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე.
4. განჩინებაზე კერძო საჩივრის წარდგენა არ დაიშვება.

სხდომის თავმჯდომარემ, საქართველოს სსკ-ის 291-ე მუხლის შესაბამისად, განმარტა აგრეთვე სხდომის ოქმის გაცნობისა და მასზე შენიშვნების შეტანის უფლება, წესი და ვადა.

სხდომის დღის შესახებ მხარეებს ჩამოერთვათ ხელწერილი და დაერთო სხდომის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარემ სასამართლო სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

/ქეთევან კუჭავა/

სხდომის მდივანი:

/ლევია გოგიშვილი/